

საუკეთესო-კვირათ ლიტერატურული და მხატვრობითი განვითარება.

2 ଟଙ୍କାରୁପାଇଁ

ପ୍ରାଚୀନ ପାତାଳ

5

კვირა გიორგი

1886 ଏକାଶ.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ხახვარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გვდით ხელის მოწერა არ მიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს დირს სამი შეურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთავის აღრესი: თიფლის. Въ редакцію „Театръ“. *Баку*

ପାଞ୍ଚଶିଲୀ ତମାତରୀ

ପ୍ରିଣ୍ଟିଙ୍ଗସ, 2 ଟାକାରୁଙ୍ଗାଲ୍ସ

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

## ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

პომედ. 2 მოქმედ. თარგ. თ. დ. მრისთავებისაგან  
და თ. გ. პ. პიორულებისაგან.

II

## საღავა მივლობელობა

ქოშედ. ვ მოქმედ. გადმოკ. ო. დ. ერისთავისაგან.

III

# დივერტისანტი

- 1) ბატ. რატილი იმდენებს რომანებს  
 2) გ. აღვესებით შესხივი იმდენებს უსულ კომი-  
 სურ ბუპლეტებს.

ପ୍ରାଚୀନ କବିତା

સાધુ

କେତେବ୍ୟାଙ୍ଗ ମାନୁଷଙ୍କୁ ମରନ୍ତିରୁଣ୍ୟତାକୁ ତାଙ୍କ ଏହି ଶ୍ଵରାଜୀରୁଙ୍କିରାପାଇଁ

ଫାସାର୍ଟ୍ ଯିଲ୍ସ 8 ସାମଗ୍ରୀ,

ମାର୍ଗପ୍ରଳୀ ତଥାତଥ

წარსულს ოთხშაბათს ქართულმა დრამატიულმა  
დასმა წარმოადგინა ვ მოქმედებიანი ისტორიული  
დრამა „ანუკა ბატონიშვილი“ დ. მესხისა და ერთ  
მოქმედებიანი ვოდევილი „ჰერკულესი“ — „ანუკა ბა-  
ტონიშვილი“ დ. მესხს ბ. ჩხერილოვის მოთხოვნი-  
ლამ გადაუკეთებია. საზოგადოთ ამ უკანასკნელ დროს  
ძალიან გახშირდა გადმოკეთება და თითქმის სენად გა-  
დაგვექცა, ყოველის ფრის გადმოკეთება. ამ საერთო  
სენს დ. მესხიც არ აცდენილა და რაღაც უხეირო  
ლაპარაკისათვის ვ მოქმედებიანი დრამა დაუტექმევია.  
დრამატიული ხელოვნება მეტად რთული და ძნელი  
საქმეა, რომ ყველას, ვინც დრამის შეთხზას მოი-  
სურვებს, შეეძლოს რამე ხეირიანი თხზულების შექმ-  
ნა. დრამა შეადგენს პოეზიის გვირგვინს, მწერლობის  
უწევერალესი ხარისხს ლიტერატურის უკანასკნელი  
სიტყვას და ამ მხრით დიდს დაკირვებას, ცოდნას  
და განვითარებას თხოულობს მწერალისაგან — და ესეც  
რომ არ იყოს დრამის წარმოებისათვის საჭიროა გან-  
საკუთრებითი ნიჭი, ღვთიური ცეცხლი, რუსები რომ  
იტყვიან ისკრა ბოჟა... დ. მესხს ეს ყველაფერი და-  
ვიწევბია ან არ სცოდნა — ეგ სულ ერთია — მაგალი-  
თი თვალ წინა სჩანს. დ. მესხის „ანუკა ბატონიშვი-  
ლი“ ჩვენ რეპერტუარში ერთი უხეირო პიესათაგა-  
ნია... და მართლაც რა არის თვითონ ანუკა ბატო-  
ნიშვილი? — ზარყვნილი დედა-კაცი, ხარისხოვანი როს-

კიპი! რანი არიან უდაბნოელი, ტიტიკო აშილახევარი და სხვასი — თუ არ ქალაჩუნა არშიყები, რომელნიც ანუკას თანაგრძნობას თხოულობენ მხოლოდ თავიანთ ჭუჭყიანი ინსტინკტების და მხეცური ვნებათა ღელვის დასატყბობლათ?! არც ერთი პატიოსანი გრძნობა, არც ერთი სამართლიანი თხოვნა-სურეილი, არც ერთი წრფელი დამოკიდებულება არ მოიპოვება მთელს სამ მოქმედებად გაჭიმულ პიესაში. ანუკას არშიყები იქამდინ თავხედები ხდებიან, რომ ღამით კარებს უმტკრევენ და თავს ესხმიან უძლოურს, თუმცა ძვალ რბილამდე გარყენილ დედა-კაცს. ახირებულია თქვენმა მზემ! ნუ თუ ჩვენი სახელოვანი და ნაქები წარსულის ცხოვრებაში ასეთი ჭუჭყიანი პირნი მოიპოვოდა და თუ მართლაც იყვნენ, ნეტა რა სასუნო, რა საღრამო პირები ამოურჩევია ბ. მესხს?! აი ნამდვილი „გადმოკეთება“ მაგას ჰქვიან და! რჩეულოვეს შშევნიერი და ზნეობრივი მოთხრობა ღრამატურლს დ. მესხს რაღაც ჭუჭყიან ღრამათ უქცევია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. დ. მესხის როგორც ნიჭს, აგრეთვე ღრამატიულ ხელოვნების ელემენტალური ცოდნას მოკლებულია და ამის გამოც უტყუარი ცხოვრების სურათების მაგიერ ჩვენ ხედავთ რაღაც გარყვნილ სამეფოს, საღაც ერთი შეორეს ასწრობს ანუკას მკერდის მფლობელობას. საკვირველი ისაა რომ სისინა ხუმარაც კი სხვა ნაირად შესცერის თავის ქალბატონს, ეს კიდევ არაფერი, ყოველი ლიტერატურულ ნაწარმოებში რამე დედა აზრი უნდა იყვეს უთუოთ. დ. მესხის ღრამაში კი ვერც აზრს იარებოთ, ვერც ავტორის იდეალს, ვერც დედა და ვერც მამა აზრს. თავდება სამი მოქმედებიანი ლაპარაკი და მაყურებელი პირ დაღებული ფიქრობს: ნეტა რა იყოვნო! — არაფერი ბატონო, სრულებით არაფერი გარდა იმისა რომ დ. მესხს ღრამა დაუწერია?..

ამ საღამოს აქტიორებმაც იჩინეს თავი და უხეირო ღრამას უხეიროთ აჯაღლაგებდენ. ერთი სიტყვით ამ საღამოს პიესა აკტიორებს და აკტიორები პიესას საოცარის დაბეჯითებით და მეცადინეობით ხელს უწყობდენ ერთმანეთს — შედეგი ის იყო რომ მაყურებელთ მოთმინებას უანგარო წამება და შეურაცყოფა მიაყენეს ქ. ანდრონიკოვისამ, ბ. ცაგარელმა და მოხევემ როგორც როლით, აგრეთვე თამაშობით პირველობას ჩემულობდენ, მაგრამ დაუნის გვირგვინი მაინც ერგოთ ბ. აბაშიძეს, ალექსეიძეს და საბუელს. ვაი მაგისთანა დაუნის გვირგვინს!..

შოდევილი «ჰერკულესი» მეტად ჯამბაზური რამ არის, მაგრამ კაცმა მართალი უნდა სთქვას, რომ ხსენებული ისტორიული ღრამის შემდეგ, „ჰერკულესი“ თვისის ჯამბაზობით და ა. მოხევის და საბუე-

ლის ტლინკებით სწორეთ ცის ნამი იყო მაუსუნებელი — თავების. საზოგადოთ უურჩევთ მოთამაშები, რომ მცირები ცედ დაიცვან პირებული ღრამატიულის ხელოვნების მცნება: ზომიერება, ურომლისოთ წარმოდგენა არარაა, როგორც ამბობს ერთი ფილოსოფიური წერილი „ივერიისა“.

• გავთელი.

### ბიგლიოზრუა

უოველ დღაუზი გაზ. „ივერია“.

იბერთ ქვეყნის დასაწყისი იყარგება წარსულ საუკუნეთა ბნელს უფსკრულში. ზოგიერთ პატრიოტთა მხურგალე ფანტაზია იქამდე მიღის, რომ ამტკიცებენ, ვითომც იბერნი, ეს იგი ეხლანდელნი ქართველნი, თვით ადამშედებულ უწინარეს შეექმნას ღმერთსა. ზოგნი ამტკიცებენ, რომ იბერნი მაშინვე გაჩნდენ ქვეყაზედ, როდესაც ბაბილონის გოდლის შენებისათვის ღმერთმა ენები აურია და ხალხი აქეთ იქთ დაიფართიო, სახელდობრ რა ღროს არიან იბერნი გაჩენილნი ქვეყანაზედ, ამ კითხების გამოკვლევა ჩვენ ძმათა ჯანაშვილებისათვის მიგვინდეთ; ჩვენ მხოლოდ ეს ვიცით, რომ იბერნი ერთი უძველეს ხალხთაგანნი არიან და ამ ცოდნას სრულებით ვსჯერდებით. არც ახალ წელიწადს ღამეს დაბადებული ყმაშეილი, რომელსაც, ილიამ პრეზ „ივერია“, გახლავთ ახალი. ამას ეხლა, როგორც ჩვენი პოეტი ამბობს:

„და აღზდგა შენი ივერი  
შენიქსებრ განახლებული!“

სუ მოუედია, თორემ მიმრჩევლმა ილიამ დიდი ხანია რაც დაბადა ამ სახელით ქართული გამოცემა. როგორც მოგეხსენებათ, „ივერია“ იყო ჯერ საკვირაო გამოცემა. მაშინდელმა „ონვირა“-ის რედაქტორმა ნიკოლაძემ ღახლოებით შემდეგი დასწერა, როდესაც პირებული ნომერი გამოვიდა: „ჩვენ მოვარიდა ახალი ქართული გაზეთის ნომერი, მაგრამ რაღგანაც ისეთის ენით არის შედეგნილი, რომ ჩვენ ვერაფერი გავიგეთ, ამიტომ მიემართეთ ძეველი ქართულის მცოდნეთ და როდესაც ისინი გადაგვითარგმიან შიგ რა სწერია, მაშინ განუზიარებთ ამ სიბრძნეს ჩვენს მკითხველებსაც“. გარდა ენის სიმძიმისა, თვით საბასო საგნები და კითხვებიც მეტად მძიმე იყო ამ საკვირაო გაზეთისა; და რადგანაც მკითხველი ხახა გამშრალი

დროს ითხოვდა და ეს მანდილოსანი მაგიერ ყოველ-  
თვის დოს ქოთანს მოატლაკუნებდა, ამიტომ გაზეთს  
ყველამ გვერდი აუქცია და თვით რედაქტორისა და  
ორიოდე თანამშრომლის მეტი აღარავინა კითხულობ-  
და. კინაზ ილია ჭავჭავაძემ ეს მოვლენა თავისებუ-  
რად ახსნა. საკვირაო გაზეთმა ჩვენში იმიტომ არ  
გაიდგა ფეხი, რომ ქართველს კაცს კვირაობით ბა-  
ლებში ჟიფი უჯარს და საკითხავად არა სცალიანო.  
ამისთანა დასკვნის შემდეგ, საკვირაო გაზეთი ყოველ-  
თვიურ ქურნალად გარდააქციეს და იმანაც წვა და  
დაგვით, როგორც იყან ქართველმა მკითხველებმა,  
ამ წარსულ წლამდე იჩნიალა. ხმები ისმოდა, რომ  
ჭავჭავაძე მოლად მოსპობას უპირობს ქურნალსაც,  
მაგრამ ზედაც მოასწრო, „დროების“ მოსპობას და  
ყოველ დღიური გაზეთის კითხვას შეჩვეული ქართვე-  
ლი საზოგადოება უსაზრდოებო დარჩა, ამ შემთხვე-  
ვით ისარგებლა ქურნალის რედაქტორმა და სასიკვდი-  
ლოდ მომზადებული გამოცემა განახლდა და ყოველ-  
დღიურ გაზეთად გარდაიქცა, „სიკვდილით ჭალაც სი-  
ცოცხლესო“, „ივერიას“ სწორედ ისრე მოუყიდა.  
ჩვენის მხრით სიამოენებით მივეგებებით ახალს ქარ-  
თულს გაზეთს და წრფელის გულით ვისურვებთ მის  
დღეგრძელობას, მაგრამ ერთი შიში გვიტრიალებს  
გულში: ვაი თუ ის თანაშობილი სენი, როგორც  
ენის სიმძიმე და იმ ერთი ნიჭის უქონლობა, რომელ-  
საც რუსები „ლიტერატურული მიხ“-ს ეძახიან, ეხლაც  
თანა სლევდეს ამ ქართულს გაზეთს, და მაშინ ხომ  
ველარც აფთიაქები უშველიან და ვერც ექიმთა გუნდ-  
ნი. ზარეგნობით გაზეთი არის სუფთა, რიგიან ქა-  
ლალზედაც იძეჭდება და სიცრუით „დროებაზედ“  
დიდია. „დროებიდამ“ კიდევ თავისი განყოფილებებით  
განიჩევა. „ივერია“ შეიცავს: „ნაკვესს“, „ნარკვეს“,  
„დამაკვირდის“, ძველს ქართულს ტიბიკონს და ახალს  
კალენდარს. შეიძლება ამ ახირებული ტერმინების გა-  
მომგონებელმა ბევრი ღამე გატეხა, ტკბილს ძილს  
მოსცა და ეხლა ფიქრობდეს, რომ ამერიკა აღმო-  
გაჩინეო, მაგრამ—გატეხილს მოგახსენებთ აქ სასაკი-  
ლობის მეტი არაფერია და ამისთანა დარბაისულ გა-  
ზეთს არაფრად უჩდება ამ ნაკვესების ბეჭედა. ვოლ-  
ტერმა და ჰეინრი სთქვაო კიდევ გვესმის, მაგრამ მო-  
გობერიძემ, თუ ბახუ ხუხუიმ ბრძანაო რაღას მომას-  
წავებელია?.. შელტონები ჯერ-ჯერობით უფერო და  
უგემურებია, მოწინავე, ანუ მეთაური წერილები ზედ  
მიწევნით ითარგმნება „Новости“ და „Москов. Вѣ-  
домост.“-ებიდამ. ადგილობრივ კითხვებს ახალი გა-  
ზეთი ჯერ მოლად არ შექმებია და იმედია არც შემ-  
დეგში შეეხდა, რადგანაც ჩვენ ჯერ ისევ სკიფები

ვყოფილებართ და „შინა“ არა გვქონის, რომელიც  
ოთხ მოწინავე წერილში დაამტკიცა (7) დარბაისებრი  
გაზეთმა. ამ „შინას“ უქონლობაზედ ჩვენ ამ ცოტას  
ხანში მოვილაპარაკებთ, ეხლა კი საკმაოდ ესთვლით  
გვეთქვა ჯერ-ჯერობით რას წარმოადგენს ახალი ქარ-  
თული გაზეთი. მაინც ვისურვებთ ღმერთმა ქმნას,  
რომ ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს!

მთიული.

## ვ ე ლ ტ რ ი

### მუშაობი

ენათ, მუშის სამოთხე,  
გლეხის დიდებაგ ყანათ!  
ცისქის სსივებმა შეგმოსეს  
და ნამდა გადაგბანაო;  
დილის ნიაგმა დაგჭროლა  
ალერსით გითხრა ნანაო;  
შუგუნა წვამამ ზედ დაგრენა  
ზურმუსტათ აგამწენაო.  
ენათ გუდ-სედ-გაშლილ  
შეეგნის მოგეთეგ ყანათ!  
მოურულად შემოგსეგიგართ,  
შროულად გიმეტებო განაო;  
გავმარგლავთ ბალას-ბულასსა,  
ბაგთასნით უდევეგნაო!..  
ენათ დაუზარუბო,  
უსგად მომცემო ყანაო!..  
ზედ უგდის თვალი დაგურუებს  
შენ ბარაქა ბრძანაო;  
აგშორდეს გვალგა და სეტშეა,  
მოსაცვლის გამოცანაო...  
ენათ ღერთ-ზურმუსტო,  
ენათ, ჩემი ყანაო!..  
მ-დალმა ღირებომა აკურთხს  
სსკაც ბეგრი შენინთანაო.

აკაგი.

## სიმღერა

ოწვიმე, წვიმე, იწვიმე,  
მასკედე ბრძლის წესლითა!  
მგები გული გაგრძედეს  
ცავის ციურის ცეარითა.  
შენ დამიტირე, ლაპაზო,  
შენის ჟაფრის თვედითა.  
თუ გერა გნახავ, დავდნები,  
როგორც მთას თოვლი ნამთა.

ბაჩანა.

\* \*

თუ კი სურვილი მაცხოვნებული,  
ჩემ სულ-ხარცონა შეეთებული,  
სამუდამ-უამოდ არ აღსრულდება;—  
მაშინ სიცოცხლე-ესოდენ უუჭი,  
შავდღიანობით მხოლოდ ქებული,  
ჯილდოის ნაცილად, ტანჯვა იქმნება.

თუ კი ოცნება: გასურებული  
ტვინის ნაყაფი, ნაწარმოები  
ჩატამადანაც არ გამართდება;—  
მაშინ თველები—მარად დღე და ღამ  
შეუმრობენი, დანამუშები  
ცრუმდად გასკება, გადმოსდუღდება.

და თუ ეს ფიქრი, კეთილ ზნიანი,  
მიზნის მდებრელი, აღმაღლებული  
უქმდ ჩაიგდის მიმართება.  
გერ გასძებს გული, შიგნ დაჭრილი  
და აგარდება აქოთებული,  
წამძწედება, გრულება და წევე.

რ. ალისუბნები.

## გერუას ნაამობი

(ეპიზოდი წარსული ცხოვრებიდგნ)

რა გითხრა, შეიღო, მოხუცმა,  
თავს ბეგრი გარდამსედია...  
მთხოვ და გამბობ მცირედსა  
ნუ გაგონები უხედია.

თავ. რ. ერისთავი.

იქნება არ იცნობდე, მკითხველო, მოხუცებულ

ბერუასა?.. მაშ ურიგო არ იქნება გაფართოებული ტრიუმული მოხუცებული, რადგანაც ჩმისაც ტრიული, დაულალავი და გრძნობიერი სიტყვები, დღესაც არა ერთსა და ორ კაცს მოიყვანს ხოლმე აღტაცებაში... ბერუა ოთხმოცდა-ათ-წელიწადს გარდასულია და რა თქმა უნდა, რომ მას ბევრი რამ ენახვება, ბევრი რამ გარდახდებოდა თავს, ამ თავის თითქმის ერთ საუკუნე სიცოცხლეშია! თოვლასვით თეთრი თმა და გრძელი წვერ-ულებაში, ამშვენებენ ისეთაც მშვენიერ და სიმპატიურს სახესა, რომელსაც ზედ ნათლად ეტყობა: ვაჟ-კაცობა, სიმწნევე და ენერგია. ბერუას ისეთაც ახოვანი ტანი, სრულებით ვერ მოეხარა მწარე წელთა სელას, როგორც ეხლა არა ერთსა და ორსა ვხედავთ წელში მოხრილებსა. იგი ოუმცა ღრმა მოხუცებული არის, მაგრამ მნენ და გამრჯე გული არ უსვენებს, რომ ღრმა ცუდათ გაატაროს და ამიტომაც თქვენ იმას ყოველთვისინა ჰნახავთ გამრჯეს, თფლის მომწურეს და ზოგჯერ იქამდისინ. გამხნევდება ხოლმე, რომ მზა არის კვალათ დაკანონის, თავის წარსულს და დიდი ხნის დაკარგულ სიჭაბუკესა...

საქმი დღეობით ხომ მოხუცებული ბერუა, სრულებით არ უურებს თავის მოხუცებულობას და გვერდით მომდგარი თავის შეილის-შეილებთან, საამურის სიმღერით ამხნევებს ვენახში მოხხნავებსა. საქმი დღეობით გარდა, ბერუას კვირა-უქმე დღეობითაც როდი ჰნახავთ ცუდათ: დარეკავენ თუ არა პატარა ეკლესიის ზარებს, იგი იქვე ხის ქვეშ, ქვაზედ ჩამომჯდარი, ელოდება წირვის დაყენებასა, ბერუა წრფელის სასოებით მოისმენს ხოლმე წირვას და ყოველთვის დაულალავათ ეველრება ღმერთს, ავედრებს თავის თავს და ხალხსა, მაგრამ უფრო მომეტებული თხოვნა ბერუასი ის არის, რომ იმის ცოდვილი სული მიელოს ზენას იქ, სადაც «მართალი განისვენებენ». წირვეს შემდეგ ბერუა გაერევა ხოლმე ხალხში, ყოველთვის შეიხედავს ხოლმე სოფლის კანცელიარაში და სულით და გულით დღესაც იმის მოსურნე არის, რომ მხოლოდ სიმართლე ჰსუფედებს მათში და სიმართლეს გაედგა მკვიდრათ ფეხსევები!.. სალამო ხნობით რაკი მზე გაღიწვერება, რაკი ჯაფის შემდეგ ერთი დღით შესვენებულები, შეიკრიფებან ეკლესიის პატარა მწვანე მინდობრზედ, არც აქ არის ხოლმე ბერუა ცუდათა: ჩამომჯდარი ხის ქვეშ თავის ადგილს, შემოეხევეიან ხოლმე გარს ხალხი, რომელთაც იგი ღიღიდის სიამონებით მოუთხრობს მათ სხვა და-სხვა შესანიშნავ შემთხვევებს, ისტორიულს მაგალითებს და სხვა-და-სხვა სურათს, აგრეთვე თავის ღროვის ბატონ-ყმობის ცხოვრებიდგანა. ბერუას ნამბობი, დღე-

საც არა ერთმა და ორმა იცის აღმოსავლეთ ქახეთშია, რომელთაც ბევრს ან თითონ დაუგდიათ ყური, ან არა და ერთმანეთის გარდაცემით იციან!..

სოფელი დღესაც არა ურიგო მდებარეობას წარმოადგენს აღმოსავლეთ ქახეთშია: მისი მაღლობი აღგილი, გარშემო ციხესავით შემორტყმული მთა, უწინ და დღესაც სასამურაო ამკობენ ამ ჰატარა სოფელსა. უწინ აქ მომეტებული ნაწილი „ბატონები“ სცხოვრობდენ, რომელთა „განსასვენებელ“ სამოთხეს ეს ჰატარა, მაგრამ მშევრიერი მდებარეობა შეადგენდა. ბატონები სცხოვრობდენ აქ, ბატონებს ეკუთხონდათ თუ ტყე, თუ მინდორი, თუ გლეხ-კაცობა. გავიდა დრო და დაუერწყარმა 1861 წელმა, ფერი უცვალა ამ გვარ ცხოვრებასა. გლეხ-კაცი განთავისუფლდა. მიენიჭათ მათ თვით-მოქმედება და ყველამ მხოლოდ საკუთრებისათვის დაიწყეს შრომა და ოფლის ღვრა. მოხუცებულები ყოველთვის უამბობენ ხოლმე თავიანთ მომავლებას და ასე და ამ რიგათ, გადმოდის ხალხში ერთი-მეორე ამბავი.

მოხუცებული ბერუაც ერთი იმ დროის კაცათ იჩიცხებოდა, რომელსაც არა ერთი და ორი-გულ-შემატკივარი ამბავი ახსოვდა. ეხლა თავის გარშემო შემომსხარ თანამედროვე ახალგაზდობას, ბერუა დიდის სიამოენებით და დაუღალავად უამბობს ყოველ კვირა-უქმე დღეობითა.

ქეირა-დღე იყო; ტყეში ბევრი სიარულის შეძეგ, მე და ჩემი მეგობარი, საღამო ხანს ჩამოვედით სოფელით და შეუერთდით იმ ხალხის ბრძოს, რომელთაც ეკლესის წინ მოეკარნათ თავი. საუცხოვო სურათი წარმოგიდენდებოდათ თვალ-წინ მნახეელსა: მოხუცებული და ყველაზედ უფროსი ბერუა ჩამომჯდარიყო ქვაზედ და ზურგი მაღალ კაკლის ხისათვისა ჰქონდა მიუყდებული. მნახეელს რაღაც უჩინო ძალით გიზიდავდა, გაყერებდა თავს და მხა იყვა, არამა თუ ერთი საღამო, მთელი დღებიც კი იმის სიმპატიურ სახის ცქერაში გაგეტარებინა. ბერუას გარშემო შემოსხდომილა ხალხი, რომელიც ზოგი წამოწოლიყნენ, ზოგი ალაგ-და ალაგ გუნდ-გუნდათ ისხდენ, ზოგი ქალმებს ისხავდენ და ზოგი კიდევ დრო გამო შევბით ჩიფუზზედ მიღებულ ნაკერძხალს უმრჯველენ. ხალხში სიჩუმე ჰსუფველა; მოხუცებული ბერუაც მისცემოდა რაღაც ფიქრებსა; მე და ჩემი მეგობარიც, მისალმების შემდეგ, ჩამოესხედით იქვე ახლო კუნძხედ და სხვასთან ერთათ სულ განაბულები შევსცქეროდით, ბერუას ამ გვარ მდგომარეობასა.

არ გავიდა ცოტა ხანი, რომ ბერუამ, თითქო სრულებით ფიქრებს გაშორებულმა, ერთი რამდენ-ჯერმე ჩახველა; ამ მოულოდნელმა ხველამ სულ

განაბული ხალხიც გამოაფხიზლა: აქამდინი მარტინი, აიშალნენ, შეცენეს აქა-იქ ყაყანი და რაპ-დენიმე უფრო ცნობის მოყვარე ახალ-გაზდობა-კი შემოეხვინენ ბერუას და დაუწყეს თხოვნა, რომ ეთქა რამ მათთვის წარსულის ცხოვრებიდგან, რომელიც ასე ბლომათ ახსოვდა ბერუას და რომელთა მომეტებული მოწამე თითონ იყო.

— აბა, რა გითხრათ შეიღებო? მძიმეთ, მავრამ საამურის ხმით მიმართა ბერუამ მოხვევნელებსა.

— რაც იცოდე ჰაპილო... შესძახეს კიდევ რამდენმა ახალ-გაზდობამ და მოუსხდენ გვერდითა. — შენი ნათქვამი ყველა კარგია.

ბერუა კულავაც არ დაწყებინებდა ხულმე თხოვნას ცნობის მოყვარეთ და მალე აქმაყოფილებდა იმათ თხოვნასა რამ საამო ამბითა და არც ეხლა გადაბიჯა თავის ერთ გვარ ჩევულებასა. ბერუასათვის საჭირო იყო მხოლოდ ყურის გდება, მის ახლო გარშემოს სხდომა, რომ ბერუას დაეძრა რამე, თუ შეიძლება ასე თქმა; მოყვოლებინა რამ წარსული ანბის მოთხრობა... მე და ჩემი მეგობარიც, მიუახლოვდით მოხუცებულს და სხვასთან ერთად მოუთმენლად ველოცით ბერუასაგან რამ ამბავს და ჩვენც გავნაბეთ სული. მათ წამს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ფოთლის შრიალსაც კი შაეძლო დაშალა ჩვენთვის ყურის გდება. ბერუამ, ჩვეულებისამებრ, ცოტა ხველების შემდეგ განაგრძო შემდეგი, რომელსაც ჩვენ სიტყვა-სიტყვით, აუწერო მკითხველსა.

— იცით, შეიღებო, რა იყო. ჩვენი წარსული ცხოვრება?. ლერთმა ნუ გაცოდინოთ! განაგრძო მოხუცებულმა; — ეხლა ჩვენა ვართ ჩვენი თავის ჰატრონები; დღეს ცოტათ თუ ბევრათ, ჩვენი თავის ჩვენ კირნახულსა, ჩვენ ფიქრებს თითონ ჩვენ უვლით, ჩვენი ფიქრებით თითონ ჩვენვე ვსარგებლობთ... აი, გიამბობთ, შეიღებო, ერთ ამბავს, რომელიც... მაგრამ თქვენ თითონ უფრო ცხადათ დაინახვთ, სურათს ჩვენი წარსული ვაი-ვაგლახის ცხოვრებისასა. თუ რანი ვიყავით და როგორა ესცხოვრობდით მაშინა; მეც კი, ეხლა თქვენ მოსაუბრეს, არა ერთხელ ამიდულდება ხოლმე მწუხარებით ეს მოხუცებული გული, როდესაც მომაგონდება წარსული...

— ზეითხარი, გვეთხარი ჰაპილო, წამოიძახა იქვე გვერდით ამომჯდარმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც მოუთმენლად უგდებდა ყურს, მოხუცებულის საუბარსა.

— ზეტყვით, შეიღო, გეტყვით და განაგრძო! — თქვენ იქნება ჯერ. არ გაგიგნიათ, შეიღებო, ვინ იყო თქვენში ქიტეს ბედრულაშეილი? ბერუა დაე-

კითხა გარ შემორტყმულ მსმენელთ, რომელთაც ხმა არ ამოიღეს და სულ განაბული აშშის გაგებასა სცდილობ-დენ. მაშ მე გეტყვით და განაგრძო კვალათ: — ქრისტესია ბედკრულაშვილი, ჩემი ალალი ბიძაშვილი იყო და უნდა გითხრათ, რომ გაფ-კაცობით თუ მნენებით, თქვენგანს არც ერთს არ დაუეარდებოდა, რომ იმ უბედურ შემთხვევას უდროვოთ არ მოელო ბოლო .. მართალია ძრიელ გაძლიერებული ოჯახის პატრონი არ იყო, მაგრამ ცოლსა და თავის მოზრდილ ბიჭს, რაც კი შეეფერებოდა ბატონის ყმას, ერთი ლურმა პურით ტყბილათ ინახედა... ზოგჯერ ხან თითონა ჰშევლიდა სხვას, ხან თავის საცოდავ ხარებს აშვე-ლიებდა ხოლმე და ასე და ამ რიგათ, ატარებდა ვაი ვაგლახის წელიწადებას...

ბერუა შესდგა ცოტა ხანს, ამოილო ჯიბიდგან თავისი საყვარელი ბურნუთის ტყავის ქისა და რამ-დენჯერმე ლაზათიანათ მოსწია. ხალხი, მე და ჩემი ამხანაგი კვალათ სულ განაბულები შევსცეროდით მოხუცებულსა.

— მეათათვე იყო... დაიწყო კიდევ ბერუამ თა-ვისი ტყბილი ხმით. მოსაეალი საყმაოთ მოუვიდა უველას და გახურებული ლეწვა იყო; ვიღრე ამინდე-ბი ხელს უწყობდა, ხალხი თითქმის ერთმანეთს ასწ-რობდენ ლეწვასე... საბრალო ბედკრულაშვილსაც ორი დღის ნახნაეთ ჰქონდა და იმდენი გამოუვიდა, რომ დასცლოდა ორი სამი წელიწადი ეყოფოდა; იმანაც თავის მხრით მიაყოლა უდელი ხარით და არ იყო რომ უველაზედ აღრე გაათვავა; კალოსაგან სულ ამორთმეული ხარები უპრიანა ღმერთმა და ქირაზედ გაგზავნა, რომ ცოტა რამ გროშები აელო და იმითი მოეშორებინა თავისი ათასი ვა ვაგლახი... მეოთხე დღეს შინ დასაუქველათ პურს აკეთებინებდა თავის დედა-კაცი და თითონაც თავის პატარა ბიჭებით არ-ჩევდა თურმე პურსა, რომ ამ დროს, როგორც სა-ზარელი ხმა, მოესმა ქისტესიას «მოურავის» ყვირი-ლი; ამ მოულოდნერმა ხმამ ძრიელი თავ-ზარი და-ცა საბრალო ბედკრულაშვილსა და ერთ წამს საცო-დავათ გაყითლდა შიშისაგანა. მრისტესიას ველარ მოესწრო აფგომა, რომ „შეზარხოშებული“ მოურა-ვი თავზედ წარსდგომოდა და ეუბნებოდა ბატონის ნაბანებსა. ბედკრულაშვილს არაფერი ესმოდა და პირ-ლია შესცეროდა «მოურავსა», რომელმაც შემ-დეგ ლანძღვა გინებით დაუწყო ყვირილი.

— „არ გესმის, უე ოჯახ დასაქცევო! მუბნე-ბოდა თურმე მოურავი! — ხვალე უენ და უენი ხარე-ბი ბატონის კალოზედ უნდა მოხვიდე და სანამ მოერ-ჩებოდეთ, ლეწვა უნდა გვიშველო, ბატონმა ისე ბრძანა“.

— ხარები რომ არა მყვანან... ჭურუსალაშვილები ხერხსა მრისტესიმ თურმე ამისი თქმა.

— «მაშ სად ჯანაბაშია გყვანან? ჰაი, შეილო, გაათავე კალო და გადაპკარგევი განა?!»

— «ღმერთმა ხომ იცის რომ არა! მირაზედ არიან და ამ ერთ კვირაზედ მომივლენ, მაშინ თუ გინდა თქვენი ჭირის სანაცვლო იყვნენ...»

— «რას მიედ-მოედები კაცო! უფრო ხმა მალ-ლა უყვიროდა თურმე „მოურავი“, რაკი ნახა რომ იმის ყვირილზედ მრისტესია ჭირაშავითა ჰქონდოდა. — მაშ ეინ უნდა უშეველოს ბატონსა? ჰქედავ, ყველას ჯერ თავისიც ბევრი აქვთ? მეითხებოდა მოურავი და თან ძალას ატანდა, ისეთაც ლეინისაგან გამოლეულს ხმასა.

— «რა ვქნა უენი ჭირიმე... აბა რომ მცოდ...

— «რო მცოდნოდა? მაშ არ იცოდი რომ ბა-ტონს დიღრონი ფთა-მოქცეულები ედგა!.. ჰარგი და თითონ მოგიხერხებს ბატონი! მრთი რამდენჯერმე გაიქნივა თავი და გაეიდა ბედკრულაშვილის ეზოდ-განა.

— მრისტესის ეგონა ეს არის ამითი მოერჩიო, განაგრძო ბერუამ: — და არხენათ დაუწყო საცალოებს გაკეთებული პურით კვება, მოურავთან სხვა არაფერი დანაშაულობა არა ახსოედა რა და იმედი ჰქონდა მოურავი შეაბრალებდა ბატონს იმის გაჭირვებულ ცხოვრებას და მარტო-ხელებასა. მოურავს ეს აზრა-თაც არ მოჰსელია და ის ისე მოდიოდა თურმე «ბა-ტონთან», როგორც «ძრიელ დამნაშავე» და «მო-წინააღმდეგის», აღმომჩენელი. მოურავმა ბატონს უვე-ლა დაწვრილებით მოახსენა, ჩემო, შეილებო, და ბერი იჯაერა თურმე ბატონმა, ბევრი აბრახუნა ფე-ხები ბალკონზედ და დაემუქრა საბრალო ბედკრულა-შვილსა, რომ იმას ამ ოინს არ შეაჩენს. სთქვა და აღასრულა კიდეც ბატონმა. უწინ ასე იყო, ბატონები თავიანთ სიტყვას ძელათ შესცვლილენენ ხოლმე... მეორე დღეს აღრე დაებარებინა მოურავს მრისტესია და მიეყვანა ბატონთან, რომელიც ამ დროს თურმე ბალკონზედ «ჩაისა» ჰსვამდა.

— «ბიჭო, უენ არ იცი რომ ძნა გასაღეწი გვაქს? დაეკითხა ბატონი და უეპსჲყივლა რამდენ-ჯერმე ჩევულებრივ.

— «როგორ არა, ვიცი უენი ჭირიმე...»

— «იცი? თუ იცი რა უყავი ხარები?... სად ჯანაბაში გადაპკარგევი, ჰა?..»

— „ხარები?.. მრისტესიმ ჩუმათ გაიმეორა ბა-ტონის სიტყვები და ხმა ამოუღებელი გაქვავებულსა-ვით გულ-ხელ დაკრეფილი იდგა ბატონის წინა.

— „არ გესმის, შე... ბატონი დასჭივიოდა მრისტესიას, მრისტესიას კი არაფერი ეხმოდა, იგი გაეტაცნათ რაღაც მოულოდნელ ფიქრებს და მხოლოდ იმის მონატრე იყო, რომ გასქდომადა ქვეშ მიწა.

— „ჰო, შენთვის გაიღეწე და სხვა ფეხებზედა გვიდია, არა? მაცი არა ვარ თუ ოხრათ არ დაგინარჩუნო და შემოჰკრა მრისტესიას მუშტი.

ქრისტესია დაეცა გულ შემოყრილი. ბატონს თურმე ეგონა რომ ეს ვანგებ იყო და ადგებათ, მაგრამ, ისე თქვენი მტერი ადგეს, შეილებო, რომ საცოდავი მრისტესია ველარ ადგა და ბალკონიდგან ოთხმა კაცია ძლივს ჩამოათრის. ჯერ კიდევ მზე მაღლა იყო, რომ მრისტესიამ განუტევა ტანჯული სული და მიეცა საუკუნო განსვენებასა. მრთ წამს მთელ სოფელს მოეფინა, მრისტესია ბედკრულაშეილის სიკედლის ხმა და დიდი თუ პატარა მიეშურებოდა «ბატონის» სახლისაკენ რომ ეყურებინათ. ბატონის დიდი ეზო ხალხით იყო ავხევული; უბედური მართა, მრისტესიას ცოლი, თავ განწირული დასტიროდა ქმარს და ზედ აკლავდა თითქმის თავსა... მეორე დღეს შუადღის უკან, ოთხის ფუტორით, დამარხეს საბრალო მრისტესია სწორეთ იმ ადგილს სადაც ეხლა ჩვენ ვიმეორებთ იმის თავ-გადსახალსა.

ჩვენ ყველამ ძირს დავიხედეთ, თითქო ძებნა დაუშეეთ საცოდავის საფლავსა, მაგრამ, ამაოთ, რადგანაც იქ მხოლოდ სულ დიდრონი ახალი ქვები ეწყო მიცვალებულების საფლავებზედ და ათასში ერთი თუ მოიპოვებოდა უბრალო ქვით, რომლისამე დავიწყებული კაცის სამარე.


— უწინ ეს ადგილი ასე როდი იყო, შეილებო, განაგრძო კვალათ ბერუამ: — ეს ადგილი მარტო სამარხი იყო. მკლესიაც მერე ააშენეს და ამ ჭრელ ქვებსაც შემდევ დაუწყეს ზიდვა... აღარ გაიარა ორმა, სამშა თვემ მრისტესიას სიკედლის შემდევ, რომ ბატონმა ქვრივი მართა თითონ წაიყვანა სახლში მოსამსახურე დედა-კაცათა და ორ პატარა ობოლს კიდევ ძროხაში უკრა თავი ხბორების მოსაელელათა. მაცი ტირილისაგან ვერ შეიმაგრებდა თავსა, რომ ენახა რა საცოდავი სანახავები იყვენ ის ორი პატარა ობოლი. დაგლეჯილი ფარდავის ძევლებით და დაკაწრული ტიტელა ფეხებით დაედევნენ ორნი ერთათ ხბორებს და ხან საით ერევებოდენ და ხან საითა... რო გზაში შეხვედრილებს დაკითხებოდი, ყოველთვის იმათვან გაიგონებდი ერთ და იმავ გულ მოსაკლავ სიტყვებსა: „მაჩა მოგვიკლა ბა-

ტონმა, დედა შინ წაიკვანა და ჩვენც ძღვანებული მოგვლევა-ო...“

მოსაუბრე მოხუცებულმა გაათავა ლაპარაკი; ამასობაში ბინდიც მოგვიახლოვდა, მოვარე საკმაოთ წამომდგარიყო და ლაქვარდს ცის კამარაზედ, ვარსკვლავები ცელქათ დანაგრძობდენ, იქვე მთის კალთებიდგან, საამურათ უშტვენდენ ლამის ფრინველები და მიჩუმებულ არე მარეს საამურ ხმებსა ჰუნავდენ. ამაზედ საუცხოვო სურათს ველარა ჰნახვდით, მკითხველო, რომ გენახათ პატარა თეორად გალესილ ეკლესის მახლობლად, მაღალი კაკლის ქვეშ, რა რიგათ მოჩანდა გუნდ-გუნდათ შეკრილი ხალხი, რომელთაც სულ განაბულები მოხუცებულის საუბრის სმენათ გარდაცეული იყვნენ. ბერუას თეორი წვერულვაში და სპეტაკი სახე, მთვარის მკრთალ ნათელმა უფრო ერთი ათათ დაამშენა მოხუცებული და ძნელათ თუ მნახველს მოეშორებინა თვალი თითონაც და გულით არ მოჰკედლებოდა ხალხის გუნდსა.

მოხუცებულმა შესწყვიტა თუ არა თავისი ტკბილი და ალერსიანი ხმა, ხალხი გაიშალა მაშინავე და ყველამ, მძიმე ნაბიჯით გასწიეს შინისაკენა მე და ჩემმა მეგობარმაც მოუკიდეთ ჩვეულებისამებრ ჩიბუქებს და დაებრუნდით შინისაკენა; მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძრიელ გვაცებდა მოხუცებული ბერუას ტკბილი სიტყვები, ალერსიანი ხმა; აუარებელი. აზრები გვიტრიალებდენ თავში, რომელთათვისაც ვერაფერ ანგარიშის მოცემას ვერ ვახერხებდით.

ოც! რომ იცოდე რამდენი მოიპოვებიან, ამ ვეარი მოსაუბრებინი აღმოსავლეთ ძახეთში, ჩემო მკითხველო, რომელთა ბერი მშევნიერი სიტყვები, შენაძილისინ დღესაც მოუღწეველნი რჩებიან!



### დრამატიული მუსიკა

პორტუგალიაში

(ერთი პერსის გამო)

დრამატიული მწერლობა პორტუგალიაში, ძრიელ გვიან დაიწყო. პორტუგალიას ბერი ჰყენდა სხვა-და-სხვა პოეტები, და მათში ერთიც არ მოიპოვებოდა ღრამატიული მწერალი. რა მიზეზია მერე ასე გვიან გამოიუჩინდება, იმ ხალხისა, რომელიც უფრო ასე დაახლოებულნი იყვნენ მეროპასთან? ისე

მცირედი ცნობები მოიპოვებიან ამის შესახებ, და ჩვენთვის ძნელია გარდაწყვეტილ ამ მიზეზის თქმა.

პირველი დრამატიული მწერალი პორტუგალია. ში, მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ეს იყო დრო პორტუგალიის მშენები ისტორიის ეპოქისა, ეს იყო ეილ ვიცენტი, რომელსაც არავთა-რი დრამატიული ნაწარმოები არა ჰქონდა პორტუ-გალიის ლიტერატურასა და მარტო, ვიცენტმა, დაიწ-ყო ბრწყინვა მწერალთა შორის. ვიცენტმა თავის სი-ცოცხლეში დასწერა ბევრი საღრმოთა არავთარი და ტრა-გელიები, რომლის ნაწერებითაც იხელმძღვანელეს შემ-დეგ პეველიმ და ლოპე დე—ვეგმა. ვიცენტის ნიჭირ-მა მწერლობამ შემდეგ ბევრი მიმდევრნი დაპატარა, რომელნიც გაუდგნენ შილ ვიცენტისაგან გაკვალილს გზასა... ტრაგედიამ, პირველობა რომელსაც უნდა მივაწეროთ «ინესა დე—კასტროს» (პიესა) ამ პიესამ XVI საუკუნის ნახევარში იჩინა თავი. საზარელი სიკვდილი „ინესა დე—კასტროსი“ პორტუგალიელებს თითქმის ორ საუკუნის განმავლობაში ყველასა ჰქონდა გულ-ში ჩანარებილი და ყველას ნათლათ ახსოვდა. ამავე ძასტროს სიკვდილის ანბით ბევრმა ისარგებლეს შემ-დეგ და რამდენიმე ტრაგედიები დაიწერა. ვიცენტის შემდეგ «კასტროს» სიკვდილის ანბავი შეიმუშავა ცნობილმა ფერიერმა და ამ ეროვნულის შინაარსით დასწერა ტრაგედია, ბერძნული ტრაგედიების მგზავ-სი. ფერიერმა წერა ბერძნული ტრაგედიების მგზავი დაიწყო და ისეთაცა სწერდა შემდეგში. ამბობენ, რომ ფერიერმა უფრო იმიტომ მიჰყო ხელი ბერძნულ ტრაგედიების ზომაზედ წერასა, რომ ეს უკანასკნელ-ნი ძრიელ უკანასკნელი... ფერიერს იქამდის ჰყანარებია თურმე ბერძნული ენა, რომ იმას გადაუთარებინა ორი ტრაგედია მერიპილისა ბერძნულს ენაზედ და თითო-ნაც დაუწერია ამასთანავე ორი ტრაგედია „იეზაი“ და „იოანე ნათლის—მცემელი“.

გარდა ტრაგედიისა «ინესა დე-მასტრიო», ფერი-ერმა თავის სიცოცხლეშივე დასწერა ამასთანავე ორი კომედია: Cioso (იჭვაანი) და ამ კომედიაზედ უფრო ადრე, როდესაც ჯერ კიდევ იგი 26 წლისა იყო, Bristo.

Յոհան Յանսոնը կարծութեալուս Յոյցիմա, հռմելու սապ-  
մառտ շատ շատ շատ սանելու տաքու սպազմութեալու Յոյցիմա,  
ուղարկու կա Արքայի մաս մարդու «Հայութաւագու» ու-  
նոնք; Սպազմութեալու սպազմութեալու, սպազմութեալու տաքու տաքու  
կամ առաջանակութեալու վերաբերութեալու, մասնաւու ամ մերու ուղարկու ուղարկու  
և սպազմութեալու սպազմութեալու գույնութեալու և ուղարկու ուղարկու  
„Փո-  
լութեալու” սպազմութեալու և ամբու գույնութեալուն ուղարկու ուղարկու

ଭୂମିକୁଟ୍ଟେବ୍ଦେନ ସାଙ୍ଗେଲ୍ପା, ଝାରାତୀଶ୍ଵରାନ୍ ମନ୍ଦିରରେ ଫଳଜ୍ଞାନ ଦିବସା.

პომოენსმა თავის პიესაში „სელევკა“ გამოჰხატა  
ანთიოქი, რომელმაც შესწირა თავი დედინაცელის  
სიყვარულსა. ამბობენ რომ ამ პიესის შინაარსის აღ-  
ბის დროს, ძამოენს, მხედველობაზე ჰქონდეს ზილი-  
ჟე მეორის დამცირება, რომელმაც მოაკვლევინა თა-  
ვისი შეილი მარტოსი დედინაცელის შეყვარების გა-  
მო. ძამოენსის პიესა დაწერილია *autos*-ს ზომაზედ  
და მნელია მხოლოდ იმისი თქმა, რომელ შთამავა-  
ლობას უნდა ეკუთვნოდეს სსენიერული კომედია. პიე-  
სა ლექსათ არის დაწერილი, მაგრამ წინა-სიტყვაობა  
(პროლოგ) მოთხრობითი მიუძღვის... საკირველი  
მხოლოდ ეს არის ძამოენსისა, რომ მომეტებული  
ნაწერი იმისი, ისპანიურს ენაზედ და ხასიათზედ არის  
დაყენებული. თეოთ ზემოხსენებულ პიესაში ექიმი,  
რომელიც სელევკას არწმუნებს, რომ ანტიოქეს უკ-  
ეარს იმისი ცოლი, თავის დედი-ნაცელი სტრატო-  
ნისი და მხოლოდ ამ სიყვარულს შეუძლიან უდრო-  
ვოთ მოუღოს ბოლო ანტიოქესა. ექიმი სრულებით  
ისპანიურს ენაზედა ლაპარაკობს. თეოთ პიესის მიმღი-  
ნარეობაც არეულ-დარეულია. იგი არ არის არც მოქ-  
მედებად და არც სელევკათ დანაწილებული; მხოლოდ  
ისა სჩანს, რომ რომელიმე მომქმედი პირი გამოდის  
სცენაზედ და ლაპარაკობს...

Անձանուցի եասօտո լա յբա սիհան մամոցնես և սեցա-  
տա-Շռարու է զոյսա „ամբուրդուննուապ“, հռմելը ոցո  
վելացքու միծացյու լավիրա, տպմբա եասօտո լա Շո-  
նահան սոյրո սոյրոցեսոնծ „սեղազաչքու“, մագրամ ամ  
թերու Յուրաբուցալու է զոյքու սոյրո լաձլա սօցա,  
յութոյ ցամոհենու մոռնոյրո, հռմելու պարուտոց  
վելացքու Ֆեսացը լա տացու „ամբուրդուննու“ Քյորու լորո-  
սա. մամոցնես մեյսամյ զոյսա «գուլքելում» սոյրո սոյրոց-  
եսոնծ ոմու սեցա Ֆոյսաթիքու, հռմելնուպ սոյրո կար-  
գի լա Եղոլոցնուրո սոյրոցի մոռնոյքին...

მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში ლისაბონის  
მცხოვრებთ მომეტებულათ იზიდავდა Biaro alto-ს  
თეატრული უბედური ანტონიო ხოზეს პიესები. ხოზეს  
სიკვდილის შემდეგ საქმაოთ დარჩა პიესები, რომელ-  
ნიც შემდეგ გამოიცნენ ავტორის უსახელ წოდებით  
და მხოლოდ ქვეშ წარწერილი ჰქონდა თავარის  
ურია, თუმცა ნამდეილი ფსევდონომი თეატრი-  
სა იყო Theatro Comico Cartugaez. ხოზეს თა-  
ვის პიესებში ბეკრჯელ გამოუხატავს მთელი კაცის  
ცხოვრება; ხოზე სრულებით არა ცდილობდა თავის  
პიესებში შავეაუშირებინა ინტრიგები ცალკე სცენება-  
თა, მაგრამ იმის მომქმედნი პირნი მომეტებული ნა-  
წილი უფრო მიმზიდველნი და ნამდინილი ტიპები იყვ-

ნენ ცხოვრებისა. ხოზეს პიესები უფრო თან-და-თან წარმატებაში შედიოდენ და დიდ ხანსაც არღვენდნენ პორტუგალის სკენაზედ.

შესახებ ხოზეს კერძო ცხოვრებისა არაფერი სჩანს, მხოლოდ ვიცით იმის უბედური სიკეთილი. ხოზეს დასწამეს რჯულის წინაღმდევობა და ამის გამო იგი ჩაგდეს რამდენიმე ხანი ინკიზიციის საპყრობოლებუში, რომელმაც რამდენიმე თვე იტანჯა და შემდეგ 1740 წ. იგი შეიქმნა მსხვერპლი დაუნდობელი აუტო-და-ჭეს ცეცხლის ალისა.

ბმავე ხებში 1761 წ. პორტუგალის მცირედ ღრამატიულ მწერლების დასს, მრემატა ორი მწერალი: ტიბერიო პედეგაჩი და ლომინგო დოს-რეისკვიჩი რომლებმაც ერთათ დასწერეს შემდეგი სახელოვანი პიესები: „სტარტი“, „მეგარჩი“, „ზერმიონი“ და „ინესა დე-კასტრო (სამ მოქმედებანი.) ამ პიესებში უკეთესად მხოლოდ „მეგარჩი“ ითვლება.

პომიკური თეატრი სრულებით დაივიწყეს პორტუგალიელებმა, როდესაც პედრო ანტონი პორტეგა გარსანმა, ცნობილმა თავისი უმშვენიერების იდებით, დასწერა ორი კომედია: ერთი, ესრულ წოდებული Theatre noro (ახალი თეატრი), მეორე „ას-სამბლეი“, რომელმაც დაიმსახურა საყოველთაო უურადლება... როდესაც XVIII საუკუნის ნახევარში საფრანგეთის ღრამატიულმა მწერლობამ დაიპყრო პორტუგალიელების სცენა, მაშინ აკადემია 1788 წ. დაუნიშნა საჩუქარი, ვინც დასწერდა პორტუგალიელთა ცხოვრებიდან ახალ ტრაგედიასა. მს საჩუქარი ლირსეულათ მიიღო მაშინ გრაფინია ვამიერისამ თავის ტრაგედიაში „მერვე“.

ასე და ამ რიგათ, მძიმე ნაბიჯით იდგავედა ფეხს წარსულ საუკუნეებში პორტეგალის ღრამატიული მწერლობა. მაგრამ უკეთეს ნაწარმოებათ პორტუგალის სცენისა დღეს ითვლება მხოლოდ ტრაგედია „ინესა დე-კასტრო“ თხზულება გომესისა, რომელიც დაიწერა უკანასკნელ ხებში წარსულ საუკუნისა. ხე: ნებულ პიესას ნამდეილ წოდებათ გომესისაგან NOVO Castro იკო, ესე იგი «ახალი კასტრო»; ავტორმა იმისათვის უწოდა, რომ ამ გვარივე ორი პიესა უფრო ადრე იყო დაწერილი, ამავე შინაარსით და ამავე მიმღინარეობითა. გარდა ამ პიესისა „ინესა დე-კასტრო“, რომლის გამოც ჩვენ ასე მოკლეთ გავაცანით „თეატრის“ მკითხველებს პორტუგალის ღრამატიული მწერლობა და რომელიც დღეს ჩვენი ენით ითარგმნება, მომებმა სხვა კიდევ მრავალი შესანიშნავი პიესები დასწერა, მაგალითად: «ტრიუმფი ბუნებისა», «კოროლი ლონ-სებასტიანი», «მატონი», „პეტრი პირველი“, „ურიდრისი“, „მოლლანდიელი მჭე-

დელი“ და სხვა. მომების „ინესა დე-კასტრო“ რომ-საც პორტუგალის ერთ უკეთეს პიესათ მოვლება და დიდის მნიშვნელობით იღმება პორტუგალის სცენაზედა. თვით მომებიც ერთ უკეთეს და უნიკიტარეს ღრამატიულ მწერლათ ირაუცხად პორტუგალიაში...

უნდა ესთქვათ, რომ „ინესა დე-კასტროს“ უბედური სიკეთილის გამო, საზოგადოთ პორტუგალის მწერლებმა დასწერეს ხუთი პიესა, ამავე დედა აზრით და ამავე წოდებითა. პორტუგალიელების ახლო მეზობელ ისპანიელებმაც შეიმუშავეს ზე-მოხსენებული შინაარსი სხვა-და-და წოდებულ პიესებათა. 1896 წ. ინგლისის მწერალმა მდგარდმა ამავე დედა აზრით დასწერა პიესა; საფრანგეთის მწერალმა ლამოტმა, „ინესა დე-კასტროს“ შინაარსით შესთხვა ტრაგედია. რომელიც შემდეგ აუსულს ენაზედაც ითარგმნა; თვით იტალიელთ და გერმანიელებსაც მოეპოვებათ რამდენიმე პიესა ამავე დედა აზრით, რომლითაც ასე სახელოვანი შეიქმნა პორტუგალის ღრამატიული მწერლობა.

დღეს ნამდეილ მომების პიესა „ინესა დე-კასტრო“, ჩვენგნით ითარგმნება და ეკადებით, რომ მაღლე გავაცნოთ „თეატრის“ მკითხველებსა, რომელიც უფრო უკეთ შეუძლიანთ დააფასონ ღრამატიული მნიშვნელობა სხენებული მომების პიესისა.

გელის-ციხელი.

## ნ ა ს ე კ ი

აღმორჩეული აზრები ჰქინები, შესახებ ქადაგის ცენტრი

კ ა დ ე ბ ი

აღამიანის ხასიათი სხვა-და სხვა თეისების წყობილებისაგან შესდგება; თუ უკანასკნელი ტყუილი, რომელსაც სისტემატიურად იგინი უჭირავს, მაშინ მთელი კაცის სიცოცხლე დიდი შეცლომილებებში შედის. ჩვენ ვაქებთ და ხასიათ შემუშავებულს კაცს ვეძახით იმას, რომელიც თავისუფლების გრძნობას იკლავს და თავის ძელი აზრების მონაა. ამისთანა ზნეობის დამონება, უფრო კაცებს ემჩერებათ. მალის გულში უფრო მეტი თავისუფლების გრძნობა აჩვენა, რომელიც ცოცხალი და მოძრავია. ჟოველ დღე ქალებს სხვა-და-სხვა შეხედულება აქეთ ქვეყანაზედ, თუმცა თვითონაც ვერა გრძნობენ, დილით, რომ აღვე-

ბიან, როგორათაც უსუსურნი ბაჟშები, დაწყობენ თავინო აზრებსა, მაგრამ საღამოთი ისე იქცევა, როგორათაც ქალალდით აშენებული სახლები. მალები ისეთი სულ მოკლენი არიან, რომ იმათ არ შეუძლიანთ მძიმე აზრს დიდხანს ებრძოლონ. (1. 198).

მუსიკას, რომელსაც ქორწილის დროს უკრავენ, იმ მუსიკის ხმას წააგავს, რომელსაც ომში წასვლის დროს უკრავენ (8. 212).

გახსოვთ თქვენ მეას ისტორია? რამ წამს ქალი გონებაზედ მოვა, იმისი პირველი აზრი ახალი ტანსაცმელია. (3. 6).

დიახ, ქალები საშიშნი არიან, მაგრამ სილამაზეს მოკლებულნი ქალებისა კი უფრო უნდა გეშინოდეთ, ვიდრე ლამაზებისა. ლამაზები დაჩვეულები არიან, რომ იმათ თაყვანი სცენ, მაგრამ სილამაზეს მოკლებულნი კი სუველას უკან დასდევენ და ამიტომაც ბეჭრს მტრებს შოულობენ. (3. 111).

ო, ქალებო! თქვენ კაცმა ბევრი უნდა გაპარიოთ, თორებ ბევრი გიყვართ და ბევრსაც იყვარებთ. იმათი მოშურნეობაც სიყვარულია, მხოლოდ მიმართულება აქვს გამოცვლილი. ქალები კაცს მაშინ უბოროტებენ, როდესაც ამ წევებით სხვა კაცის გულს სიყვარულით დაიმსახურებენ.

როდესაც ქალები სწერენ, ერთის თვალით ქალალს უკურებენ და მეორეს თვალით კაცს; მაგრამ სილამაზეს მოკლებულ ქალებს კი ეს თვისება არა აქვთ. (4. 10)

ოჲ, ქალებო! ჩვენს სამწუხაროთა ხართ გაჩინილნი! თქვენი შეხედულება—საწამლავია; ვინ შეჭამა პირველი ვაშლი ბორატებისა? ვინ დაღუპა მარკი, ან ტონიმი, ვინ მოჰკლა ციცერონი? ვინ მოითხოვა იქანენ ნათლის-მცემლის თავი? მალებო! ჩვენ თქვენ ყველაზედ უკეთს და მაღალს გაძლევთ! ჩვენ გაძლევთ შმინდა და ვნებით აესებულს კაცს და სიყვარულს, თქვენ კი რას გვაძლევთ? შეეირო ხარის ხორცს, დამპალ ხბოს ხორცს და გაწყალებულს წვენს. (7. 76).

მალებს მხოლოდ ერთი საშუალება აქვთ, რომ კაცი გააბედნიერონ, მაგრამ გასაუბედურებლათ კი ოცდა-ათი-ათასი. (7. 89).

მალს მეორე სიყვარული არ აქვს; რაღვანაც იმისი სული იმოდონათ სუსტია, რომ ორჯელ იმ საშინელს სიყვარულის მიწის ძერას ვერ გამოსცდის. (8. 211).

საკურველია, რომ ლამაზ ქალებს უფრო უძნელდებათ ქმრების შოვნა. მს ძველ დროშიაც ესე

იყო. ისტორიიდან ვიცით, რომ ორი შერტოტე ჭუჭული ნიერი ქალი, ქანწულათ დაბერდენ. (ტეატრის ისტორია)

### ხალხური ლექსისი

#### ქართლში შეკრებილი სოსიერასაგან

ჭავჭავაძემ დამშატია, ლვანო შემასწა ტებილია. ჯურაზე წამოვედი, იქ მამებიდა ძილია. სადაც ქარგი ჩრდილი გნახე, იქით წამეუთ ცხვირია; იმ ძილში გამომაცალეა, ჩემი გამნჩა სტეირია; ჩემი სტეირის მამპარავსა, დაუსივდეს ცხვირ-ბირია; დღეის სწორამდინ მენახოს, იმისი ცოდი ქვრივია. ჩემი მმისოფინ მამეუვანისა და გამეწიოს ლხინია, რომ მზითებში მოქადალოდეს, ის ჩემი ჭრედი სტეირია.

წუხელის გნახე სიზმარი, შემო გაუი-გაცრაბისა: ადის ასაფუხი გეცვა, შიგნით მოვი შერანგისა. ლამზათ ცხენზედ იჯექი, მუხლი გქონდა შავარდნისა: თოფი გეგიდა სიათა, ცრუნი ქურნდა სერანისა: ცამასა წელში გაგრძელო, ჩსხმასი აქეს ქათახისა: სახადირო წასულიერე, მტრები გეხორცა ქართლისა: საყდარში მიპანდებოდი, მთებმა დაიწეუს ზიზინია; მაღალმა ღმერთმა გვიჩვენის, შენი წიოკლი გვირგვინი.

#### წინა გამოცანების ასენა

- 1) ქრუსი წიწილებით.
- 2) ქეერი ღვინით.
- 3) ფუტკარი.
- 4) წისქვილი.
- 5) სეტევა.
- 6) საჩეჩელი.
- 7) ბორკილი.
- 8) მამალი.
- 9) ლბობი და მისი ქსელი.

დედქრორი და გამომცემელი გ. ბარშემე.

З А Б У Ъ З О Э Д З Б

ЗАБУЙО ТАБУНО

1886

Жовтень, 5 жовтня

БІЛБОУ

Д. В. БІЛБОУ

Джартизанський та індустріальний вестник

I.

З А Б У Ъ

Жовтень, 3 жовтня. т. 1920 року

II.

З А Б У Ъ

Жовтень, 2 жовтня. т. 1920 року.

III.

З А Б У Ъ

Жовтень, 1920 року

Джартизанський та індустріальний вестник

Інформація про харчування

Жовтень, 1920 року

т. 1920 року

З А Б У Ъ

Жартизанський та індустріальний вестник

Жовтень, 1920 року

## ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ

О ПРОДОЛЖЕНИИ ВЪ 1886 ГОДУ

ОБЩЕДОСТУПНОГО ЖУРНАЛА-ГАЗЕТЫ,

„БЛАГОВЪСТЬ.“

Выступить въ провинціи на поприще такой литературной дѣятельности, которая, доставляя общедоступный и назидательный материалъ для чтенія, служилъ бы религіознымъ и патріотическимъ интересамъ нашего дорогаго отечества—Россіи,—дѣло не легкое, чтобы не сказать много-трудное, среди того фальшиваго положенія, въ которомъ очутилась русская интеллигенція, благодаря давней среди насъ враждебной пропагандѣ. Прояхъ уже молчаніемъ мѣстныхъ дразги, мы не можемъ не отмѣтить и другой трудности существовать въ провинціи такому изданію, какъ, напримѣръ, журналъ-газета „БЛАГОВЪСТЬ“. Наша всероссійская отычка отъ серьезнаго чтенія и пристрастіе къ этому пустому „легкому чтенію“ испортили вообще у насъ вкусъ къ чтенію; изданія же, ратующія за интересы Православія, Самодержавія и Русской народности, среди органовъ фальшивой печати на Русси,—изданія подобныя „БЛАГОВЪСТУ“, заслуживають полнаго вниманія всѣхъ сыновъ отечества. Не смотря, однако, на трудность свое-го настоящаго положенія, журналъ-газета „БЛАГОВЪСТЬ“, въ сознаніи своей благовременности и полезности будетъ сть Божію помощью издаваться и въ слѣдующемъ 1886 г. т. е. ЧЕТВЕРТОМЪ уже со дня своего начала. Уповаемъ, что настанеть время, когда притихнутъ въ Россіи иноземщица и иновѣрціна, когда згинеть этотъ русскій либерализмъ т. е. всеобщая наша распущенность, а пока... мы находимъ нужнымъ благовѣстить о Православно-русской и вѣрноподаннической правдѣ и чуждой кривдѣ на святой Руси.

Программа нашего журнала-газеты „БЛАГОВЪСТЬ“ и на слѣдующій годъ остается прежняя:

I. Обозрѣніе текущей Церковно-общественной жизни въ Россіи и за-границею, въ ея современныхъ проявленіяхъ, мѣропріятіяхъ и пр.

II. Корреспонденціи о замѣчательныхъ почему-либо новостяхъ и событияхъ въ области духовно-нравственной.

III. Очерки, разсказы, жизнеописанія, путешествія, краснорѣчіе, церковная старина, стихотворенія и пр.

IV. Обозрѣніе современной печати, отечественной и иностранной, по вопросамъ духовно-нравственнымъ, рецензіи книгъ и. т. п.

V. Отвѣты редакціи и объявленія.

Журналъ-газета „БЛАГОВЪСТЬ“ будетъ выходить по-прежнему два раза въ мѣсяцъ, въ объемѣ отъ одного до двухъ листовъ. Цѣна за годовое изданіе ПЯТЬ руб. сер., съ доставкою городскимъ подписчикамъ и съ пересыпкою иногороднимъ, а за полугодовое ТРИ руб. с.

Розничная продажа по 20 к. с. за №. Объявленія для напечатанія въ журналѣ-газетѣ „БЛАГОВѢСТЬ“, оплачиваются по 8 коп. сер. за строчку петита.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА ПОДПИСКОЙ ПЛАТЫ, ПО СОГЛАШЕНИЮ СЪ РЕДАКЦІЕЮ.

Редакціи журналовъ и газетъ, которыя пожелаютъ обмѣниваться съ Редакціею журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“ какъ своими изданіями въ 1886 году, такъ равно и перепечаткою у себя объявленій обѣ изданій на 1886 годъ, благоволять заблаговременно увѣдомить о томъ Редакцію „БЛАГОВѢСТЬ“, а равно перепечатать у себя настоящее объявление не сколько разъ, до и послѣ новаго года.

Подписька на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЬ“ принимается исключительно въ г. Харьковѣ, въ Конторѣ Редакціи журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“, на Екатеринославской улицѣ, въ домѣ Священника П. С. Мигулина №<sup>57/16</sup>. Контора открыта ежедневно, отъ 9-ти часовъ утра до 4-хъ пополудн. Личныя объясненія по дѣламъ Редакціи могутъ быть ежедневно, отъ 12 часовъ дня до 4 часовъ пополудн.

Всякую переписку просимъ отправлять исключительно на имя Редактора-Издателя.

Думалъ, что настоящіе наши подписчики возобновятъ свои требования на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЬ“ и на слѣдующій 1886 годъ, просимъ ихъ распространять наше патріотическое изданіе между своими знакомыми.

**Подписька открыта съ 1-го Октября**

**Редакторъ-издатель Гр. Кулжинскій.**

52  
0 А Р М 3 6 9 4 1  
8 0 8 4 4 0 0 0 0 0

ს ტ , გ ბ ,

## მ ე ღ ი ა ქ ი უ კ ი ღ ი ა ს .

თ ფ ი ღ ი ს შ ი — ს ა ს ა ხ დ ი ს ქ უ . , ა რ წ რ უ ნ ი ს ე უ ლ ქ ა ნ დ ი ს .

ი ღ დ ი ს ქ უ ლ ე ლ ი ს ა ღ ე თ ე ბ ა ს , წ ი გ ნ ე ბ ა ს , ბ რ თ შ უ რ ე ბ ა ს , ა გ რ ე თ ე ბ ა ს უ ლ ე ბ ა რ ბ ლ ე ბ ა ს , ბ რ თ შ უ რ ე ბ ა ს , ს ხ რ ტ ე ბ ა ს , გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ს , ა ღ ი შ ე ბ ა ს , პ ი რ ა ხ ე ბ ა ს და ს ხ ვ .

ს ა ს უ ფ ი თ ა გ ე ბ ა ს და ა ღ ნ ი შ უ ლ დ რ ა ზ ე ს ს ა ქ მ ი ს პ ე ს უ რ უ ლ ე ბ ა ს ე ს ტ ა მ ა ს შ ი რ ა ს ა ძ ლ ე ბ ა ს ს ა ქ მ ი ს პ ე მ ტ ა ნ თ .

ს ტ ა მ ა ს კ ი ს რ უ ლ ე ბ ა ს გ ა რ ე ბ რ უ ლ ი ს გ ა ს წ რ ე ბ ა ს დ ა ს ბ რ თ შ უ რ ე ბ ა ს გ ა გ ე თ ე ბ ა ს , უ პ ე თ უ შ ა გ ა ზ ი ს პ ე მ ტ ა მ ი ს ი ს უ რ გ ე ბ ა ს .

ს ა უ გ ე ლ - ქ ი რ ა მ ლ ი ტ ე რ უ ლ ი და მ ხ ა ტ ვ რ ი ბ ი თ ი გ ა ზ ე თ ი

## „Т Е А Т Р О“

მ ი ღ დ ა ხ ა ლ ი ს მ თ ვ ე რ ა 1886 წ ლ ი ს ა თ ვ ი ს

(წ ე ჭ ი წ ა დ ი მ ე რ ე )

პ რ თ ვ რ ა მ ა დ ა ს ი ვ რ ც ე გ ა ზ ე თ ი , „ თ ე ა ტ რ ი “ — ს ა ი გ ი ვ ე დ ა რ ჩ ე ბ ა , რ ა ც 1885 წ . ი უ ღ .

„ თ ე ა ტ რ ი “ გ ა მ ო ვ ა კ ვ ი რ ა შ ი ე რ თ ხ ე ლ , კ ვ ი რ ა მ ა ბ ი თ

ფ ს ხ ი ს „ თ ე ა ტ რ ი “ — ს ა : წ ლ ი თ რ ა გ ა რ ა ც ქ ა დ ა ქ ი ს , ა გ რ ე თ ვ ა გ ა რ ე შ ე ქ ე დ ი ს მ ა მ წ ე რ თ ა თ ვ ი ს დ ი რ ს ხ ე თ ი (5)

მ ა ნ ე თ ი , ხ ა ს ე ჯ რ ი ს წ ლ ი თ — ს ა მ ი (3) მ ა ნ ე თ ი . ს ხ ვ ა გ ა დ ი თ ხ ე დ ი ს მ თ წ ე რ ა ა რ მ ი ღ დ ე ბ ა .

მ ა მ ა ფ ა დ 2 1886 წ ლ ი დ ა პ ა პ ი ზ ე რ ა ტ ე ლ ი დ ა მ ა უ კ ი დ ე ბ ე ლ მ თ ხ ა წ ი ღ ე რ ა ბ ა ს მ ი ღ დ ე ბ ა .

ხ ე ლ ი ს მ თ წ ე რ ა მ ი ღ დ ე ბ ა „ თ ე ა ტ რ ი “ — ს რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი ს ; ა ღ რ ე ს ი : თ ი ფ ლ ი ს . ვ ე რ ა მ ა ბ ი თ „ თ ე ა ტ რ ი “ .